საგრანტო კონკურსი: „მედია პროექტები კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ“

ინიციატივის შესახებ

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*“ მიზნად ისახავს, გაძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით.

პროექტს სამი კონკრეტული ამოცანა აქვს:

1. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსების გამჭვირვალობა და არასახელმწიფო დაფინანსების გამრავალფეროვნება, ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის პოპულარიზაცია.

2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მათ სამიზნე აუდიტორიას შორის კავშირების გამყარება, მათ შორის, სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისება.

3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციური გაძლიერება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით ზედამხედველობისა და ადვოკატირების თვალსაზრისით.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ემყარება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" (CSSIGE 2017-2020) განხორციელების პროცესში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

პროექტის ფარგლებში CSRDG-ის პასუხისმგებლობით მიმდინარე კომპონენტებს შორის გახლავთ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება, რომლის ერთერთი ამოცანაა მედიაში კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხების პროფესიული გაშუქების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს გრანტების გაცემას მედია ორგანიზაციებისათვის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხების სათანადო გაშუქების ხელშეწყობის მიზნით.

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG) სამოქალაქო ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.
ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.
ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“(CSRDG) 2004 წლიდან ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) განვითარების პროგრამას. ადგილობრივ ორგანიზაციათაგან CSRDG ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა და რამდენიმე წელიწადში ამ სფეროში ერთ-ერთ წამყვან საექსპერტო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

საქართველოში CSR-ის განვითარების მიზნით CSRDG აქტიურად მუშაობს ბიზნეს კომპანიებთან, მათთვის ინფორმაციისა და ცოდნის მიწოდების, ცნობიერების ამაღლების და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის სტიმულირების მიზნით; აგრეთვე მუშაობს სხვადასხვა სექტორთან - სამოქალაქო ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან, ხელისუფლების სტრუქტურებთან, უნივერსიტეტებთან, ახალგაზრდებთან. CSRDG ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, როგორიცაა: კვლევები, საკომუნიკაციო კამპანიები, ტრენინგები, სემინარები, დაიტერესებულ მხარეთა ფორუმები, კონფერენციები და კონკურსები კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე. 2018 წელს CSRDG-მ დააარსა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნეს კონკურსი - მელიორა; 2018 და 2019 წლებში ჩაატარა მედია დაჯილდოება „ქართული მედია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის“; 2022 წელს დააფუძნა CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი. CSRDG-ს მომზადებული გამოქვეყნებული აქვს არაერთი პუბლიკაცია და შექმნილი აქვს რამდენიმე ვებ-პლატფორმა კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: CSRDG

CSR პროგრამის შესახებ მეტი იხილეთ აქ: https://csrgeorgia.com/ka/about-us

კონტექსტი და წინაპირობა

ბიზნეს კომპანიების საქმიანობა დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და გარემოზე. სხვადასხვა შემთხვევაში ეს ზეგავლენა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს.
საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან ერთად გაჩნდა ბუნებრივი მოთხოვნა, რომ ბიზნესმა არ იზრუნოს მხოლოდ საკუთარ მოგებაზე და საზოგადოებასაც მოუტანოს სიკეთე. თავის მხრივ, კომპანიებიც ხვდებიან, რომ პასუხისმგებლობის აღება და საზოგადოებაზე ზრუნვა სასიკეთოდ აისახება მათ საქმიანობაზეც.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility / CSR) ანუ ბიზნესის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე (ბიზნესის პასუხისმგებელი ქცევა), წარმოადგენს ბიზნესის პასუხისმგებლობას იმ ზეგავლენაზე, რომელსაც ორგანიზაცია თავისი გადაწყვეტილებებითა და საქმიანობით ახდენს ბუნებრივ გარემოზე, ეკონომიკურ სისტემებსა და ადამიანებზე, ანუ საკუთარ თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, პარტნიორებზე, ადგილობრივ თემებსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე. ეს არის ბიზნესის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, დააკმაყოფილოს საქმიანობის უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე მას კანონით ეკისრება, იმოქმედოს ეთიკურად, გაითვალისწინოს საზოგადოების მოლოდინები და წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში.

შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს კომპანიის პასუხისმგებლობას თანამშრომელთა მიმართ, საზოგადოების მიმართ, მომხმარებლების, მომწოდებლების და კონკურენტების მიმართ, ეთიკურ და გამჭვირვალე ბიზნეს საქმიანობას, გარემოს დაცვას და ადამიანის უფლებების დაცვას.
სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობა ქმნის პასუხისმგებელ ბიზნესს.

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადობა (CSR) გლობალური მნიშვნელობის საკითხია. კორპორაციული პასუხისმგებლობის ცნება განუყოფელია თანამედროვე ბიზნეს-საქმიანობისაგან. ის წარმოადგენს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის, გრძელვადიანი წარმატებისა და კონკურენტული უპირატესობის საფუძველს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე, ხოლო კორპორაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ბიზნესის ჩართულობის ფორმას.

საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. საქართველოს ძირითადი ვექტორი ევროინტეგრაციისკენ ასევე ბიძგს აძლევს საქმიანობის ევროპული მოდელებისა და სტანდარტების აქტიურ დანერგვას, რასაც გარდაუვალად მოჰყვება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის ზრდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის მიერ ამ კონცეფციის სწორი გააზრება და მისი დანერგვის სტიმულირება, რადგანაც მედია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

კონკურსის შესახებ

საგრანტო კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქართულ მედია სივრცეში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის/კორპორაციული მდგრადობის აქტიური და სწორი გაშუქების ხელშეწყობა, ამ გზით ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მხრიდან კონცეფციის მართებული აღქმის დამკვიდრება.

გრანტი გაიცემა შემდეგი <u>მედია პროდუქტების</u> მოსამზადებლად:

- სტატიების ან ბლოგების ციკლი/სერია ონლაინ ან ბეჭდურ მედიაში;
- გადაცემების ან სიუჟეტების ციკლი/ სერია ან რუბრიკა ონლაინ ან სამაუწყებლო მედიაში (რადიო, ტელევიზია).

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

- ✓ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ და მოქმედ **<u>მედია ორგანიზაციას</u>** - ტელევიზიას, ბეჭდურ და ონლაინ მედიას, რადიოს (როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ მედია ორგანიზაციას);
- ✓ ასევე მედია ორგანიზაციაში დასაქმებულ **<u>ფიზიკურ პირს.</u>**

გრანტის მიმღებ მედია ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ა(ა)იპი (არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი) სტატუსი.

ერთ აპლიკანტს შეუძლია კონკურსში ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი წარმოადგინოს. თუმცა, ერთ აპლიკანტზე (ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი) გაიცემა არაუმეტეს ერთი გრანტისა.

კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა თუ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც პროექტის მიზანსა და მოთხოვნებთან ნებისმიერი სახის ინტერესთა შეუთავსებლობა აქვთ. ასევე, მუნიციპალური/ცენტრალური მთავრობის მიერ დაფუძნებულ ააიპ-ები კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საკონკურსოდ წარდგენილი ნამუშევარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მედია მასალა უნდა შეეხებოდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის/კორპორაციული მდგრადობის კონცეფციას, ან მის ერთ-ერთ ან რამდენიმე კომპონენტს (CSR-ის შემადგენელი საკითხების შესახებ ინფორმაცია ვრცლად იხ. აქ - https://csrgeorgia.com/ka/overview/csr-themes
- მედია მასალაში კომპლექსურად და სიღრმისეულად უნდა იყოს გაშუქებული საკითხი, კერძოდ, იგი არ უნდა მიეძღვნას მხოლოდ რომელიმე ერთი კონკრეტული მაგალითის ან ერთი კომპანიის ქმედებების განხილვას, არამედ სრულად განხილული უნდა იყოს საკითხი ან პრობლემა სხვადასხვა მასალისა და მაგალითის გამოყენებით;
- მედია მასალა უნდა იყოს დაბალანსებული: იგი არ უნდა მიეძღვნას მხოლოდ ნეგატიური მაგალითების გაშუქებას და არ უნდა წარმოადგენდეს სარეკლამო ტიპის მასალას
- მედია მასალაში დაცული უნდა იყოს ჟურნალისტიკის სტანდარტები და ეთიკის ნორმები
- მედია მასალა მომზადებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

- მედია მასალა არ უნდა ასახავდეს კანონით აკრძალულ საქმიანობას და პოტენციურად ნეგატიური სოციალური და გარესმოდაცვითი ზეგავლენის მქონე სექტორების კომპანიათა საქმიანობას, კერძოდ: სათამაშო ბიზნესი, იარაღის წარმოება/იარაღოით ვაჭრობა; თამბაქოს ინდუსტრია.
- მედია მასალა არ უნდა იყოს პოლიტიკური შინაარსის ამსახველი (არ უნდა იყოს პარტიული ინტერესების ან კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების ამსახველი)

სასურველია, რომ მედია მასალაში ყურადღება გამახვილებული იყოს შემდეგზე:

- კორპორაციული პასუხისმგებლობის/მდგრადობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა
- კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელობა საქართველოს ევროინტეგრაციისათვის
- კორპორაციული პასუხისმგებლობის განხორციელების დადებითი შედეგები კომპანიებისთვის
- კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელობა საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად

- კორპორაციული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა საზოგადოების პრობლემების მდგრადი მოგვარებისათვის

პროექტის სამიზნე აუდიტორიას შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც ფართო აუდიტორია, ასევე კონკრეტული რელევანტური სამიზნე ჯგუფი (მაგ. ბიზნეს სექტორი, ახალგაზრდები და ა. შ.)

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გრანტის ფარგლებში მომზადებული მედია პროდუქტის სპონსორი/წარმდგენი არ უნდა იყოს სხვა ორგანიზაცია.

საგრანტო კონკურსის ეტაპები და შეფასების კრიტერიუმები

საგრანტო კონკურსი: „მედია პროექტები კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ **ტარდება ორ ეტაპად:**

პირველ ეტაპზე დაინტერესებული აპლიკანტები წარადგენენ საპროექტო იდეის განაცხადს. კონკურსის ორგანიზატორი (CSRDG) განიხილავს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობას კონკურსის მიზანთან და მოთხოვნებთან. ის განაცხადები, რომლებიც გაივლის შესაბამისობის შემოწმებას, გადაეგზავნება საგრანტო კომისიას შესაფასებლად. საკონკურსოდ წარმოდგენილ საპროექტო იდეებს შეაფასებს სპეციალურად კონკურსისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საგრანტო კომისია, რომელშიც შედიან CSRDG-ის წარმომადენლები და მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტები. საგრანტო კომისიის მიერ შერჩეული საუკეთესო საპროექტო იდეის განაცხადები გადავა მეორე ეტაპზე;

მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსის მონაწილეებს გაეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება და ინფორმაცია შემდგომი ნაბიჯების შესახებ, აგრეთვე მოწვევა 2-დღიან ტრენინგზე კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებზე, რომლის მიზანია განმცხადებლების დახმარება სრული განაცხადის შედგენაში. კონკურსის მონაწილეები სრულ საპროექტო განაცხადებს მოამზადებენ

ტრენინგის გავლის შემდეგ. სრულ საპროექტო განაცხადებს ასევე შეაფასებს დამოუკიდებელი საგრანტო კომისია.

ტრენინგს ჩაატარებს კონკურსის ორგანიზატორი (CSRDG) და მოწვეული ექსპერტები, მისი მიზანია დაეხმაროს შერჩეულ აპლიკანტებს კონცეფციაში გარკვევასა და სრული განაცხადის ფორმის მომზადებაში. ტრენინგში მონაწილეობის ღირებულებას დაფარავს კონკურსის ორგანიზატორი (CSRDG). მისი თარიღი, ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი მიეწოდებათ მეორე ეტაპისთვის შერჩეულ აპლიკანტებს წინასწარ.

განაცხადების შეფასების კრიტერიუმები საგრანტო კონკურსის ეტაპების მიხედვით:

საგრანტო კონკურსის I ეტაპი:

- ✓ იდეების კონკურსის გამოცხადება;
- ✓ საკონსულტაციო შეხვედრები კონკურსით დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ კონკურსში შეემოსული საპროექტო იდეების კონკურსთან შესაბამისობის შეფასება;
- ✓ საპროექტო იდეების განაცხადების მიწოდება საგრანტო კომისიისათვის;
- ✓ საუკეთესო საპროექტო იდეების შერჩევა.

საკონკურსოდ წარმოდგენილი საპროექტო იდეების კონკურსთან **შესაბამისობის კრიტერიუმები:**

- განაცხადი შესაბამისობაშია კონკურსის მიზანთან და მოთხოვნებთან;
- განმცხადებელი არის საქართველოში რეგისტრირებული ა(ა)იპის სტატუსის მქონე მედია ორგანიზაცია ან მედია ორგანიზაციაში დასაქმებული ფიზიკური პირი;
- განაცხადი წარმოდგენილია ქართულ ენაზე;
- განაცხადის ყველა ველი სრულად არის შევსებული;
- განაცხადს ახლავს ყველა მოთხოვნილი დანართი;
- მედია მასალა არ ასახავს კანონით აკრძალულ საქმიანობას და/ან პოტენციურად ნეგატიური სოციალური და გარესმოდაცვითი ზეგავლენის მქონე სექტორების კომპანიათა საქმიანობას (კერძოდ, სათამაშო ბიზნესი, იარაღის ით ვაჭრობა; თამბაქოს ინდუსტრია);
- მედია მასალაში დაცულია ჟურნალისტიკის სტანდარტები და ეთიკის ნორმები;
- მედია მასალა არ არის პოლიტიკური შინაარსის ამსახველი (მაგ. არ არის პარტიული ინტერესების ან კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების ამსახველი);
- მედია მასალა არ არის სარეკლამო ხასიათის.

საგრანტო კომისიის მიერ კონკურსის პირველ ეტაპზე, საპროექტო იდეის განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით;

	იდეის განაცხადის შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხის სრული/ სიღრმისეული ანალიზი	30
2	აუდიტორიის ეფექტური მოცვა	25
3	პროექტის განმახორციელებელი გუნდის კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება.	25
სულ		**80**

საგრანტო კონკურსის II ეტაპი:

- ✓ 2 დღიანი ტრენინგი მეორე ეტაპზე გადასული საუკეთესო საპროექტო იდეების მქონე მონაწილეებისათვის;
- ✓ სრული საპროექტო განაცხადების მიღება და მიწოდება საგრანტო კომისიისათვის;
- ✓ საგრანტო კომისიის მიერ 4 ან 5 საუკეთესო საპროექტო განაცხადის შერჩევა დასაფინანსებლად.

კონკურსის მეორე ეტაპზე სრული საპროექტო განაცხადები საგრანტო კომისიის მიერ შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

	სრული საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხის კომპლექსური გაშუქება და სიღრმისეული ანალიზი	20
2	დაბალანსებულობა და სისრულე	15
3	შემოქმედებითი მიდგომა: განხორციელების ინოვაციურობა, მასალის წარმოდგენა აუდიტორიისთვის საინტერესოდ და მიმზიდველად	15
4	აუდიტორიის ეფექტური მოცვა და გავრცელების არხების მრავალფეროვნება, და სამიზნე აუდიტორიის დაფარვის ეფექტიანი გზები	20
5	პროექტის განმახორციელებელი გუნდის კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება	15
6	რეალისტური ბიუჯეტი და ხარჯთეფექტურობა	15
სულ		**100**

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი

პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **6 თვეს,** თითო პროექტისათვის განკუთვნილი საგრანტო თანხის მაქსიმალური ოდენობა გახლავთ **5000 ევრო** (შესაბამისი თანხა ეროვნულ ვალუტაში).

<u>დაბეგვრა:</u>
მიღებული გრანტით დღგ-ს თანხა არ ანაზღაურდება. შესაბამისად, თუ გრანტით მიღებული თანხა დაიხარჯა დღგ-ზე, გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ იგი დადგენილი წესით უნდა გამოითხოვოს (დაიბრუნოს) შემოსავლების სამსახურიდან. პროექტის ხარჯების საბოლოო ანგარიში CSRDG-ის უნდა ჩაბარდეს დღგ-ს გარეშე.

CSRDG არ ანაზღაურებს კონკურსში მონაწილის მიერ საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარმოდგენისათვის გაწეულ ხარჯებს, მიუხედავად იმისა, შეირჩევა თუ არა მისი განაცხადი.

საგრანტო თანხის ხარჯვა **ნებადართული არ არის** შემდეგი მიზნებისთვის;

- უძრავი ქონების შესყიდვა, შენობის რემონტი;
- პოლიტიკური კამპანიების და საქმიანობების განხორციელება;
- საერთაშორისო მგზავრობა;
- სტიპენდიები და სასწავლო ხარჯები;
- ჰუმანიტარული აქტივობები;

- სხვა ხარჯები, რაც პირდაპირ არ უკავშირდება პროექტით განსაზღვრული საქმიანობის შესრულებას.

პროექტის მიერ საგრანტო თანხის გაცემა მოხდება სამოქმედო გეგმის ეტაპების შესაბამისად (ორი ან საჭიროებისამებრ მეტი გადარიცხვით).

კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი განაცხადის პაკეტის შესახებ

<u>საპროექტო იდეის კონკურსში</u> მონაწილეობისათვის წარსადგენი განაცხადის პაკეტი <u>ორგანიზაციისა და ფიზიკური პირის შემთხვევაში მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:</u>

- საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა;
- **დანართი # 3 *** - პროექტის წარმდგენი მედია ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადება (მხოლოდ ორგანიზაციის შემთხვევაში);
- **დანართი # 4 **** - მედია ორგანიზაციის განცხადება პროექტის წარმდგენ ფიზიკურ პირთან თანამშრომლობის შესახებ- (მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- **დანართი # 5 -** პროექტის წარმდგენი ფიზიკური პირის განცხადება - (მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- განმცხადებლის ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (მხოლოდ ორგანიზაციის შემთხვევაში);
- საგრანტო პროექტის განმახორციელებელი **გუნდის*** ძირითადი წევრების** (ჟურნალისტები, პროდიუსერი, პროექტის მენეჯერი) **რეზიუმეები (CV)** <u>ქართულ ენაზე;</u>

<u>სრული საპროექტო განაცხადის პაკეტი</u> <u>კონკურსში</u> <u>მონაწილეობისათვის</u> <u>ორგანიზაციისა და ფიზიკური პირის შემთხვევაში მოიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:</u>

- სრული საპროექტო განაცხადის ფორმა;
- **დანართი # 1 - პროექტის საქმიანობის გეგმა -** მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- **დანართი # 2 - ბიუჯეტი -** მომზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც თან ერთვის საკონკურსო განცხადებას.
- **დანართი # 3 *** - პროექტის წარმდგენი მედია ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადება (მხოლოდ ორგანიზაციის შემთხვევაში);
- **დანართი # 4 **** - მედია ორგანიზაციის განცხადება პროექტის წარმდგენ ფიზიკურ პირთან თანამშრომლობის შესახებ - (მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- **დანართი # 5 -** პროექტის წარმდგენი ფიზიკური პირის განცხადება- (მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- განმცხადებლის ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (მხოლოდ ორგანიზაციის შემთხვევაში);
- საგრანტო პროექტის განმახორციელებელი გუნდის*** ძირითადი წევრების (ჟურნალისტები, პროდიუსერი, პროექტის მენეჯერი) რეზიუმეები (CV) ქართულ ენაზე;

*თუ **პროექტის წარმდგენი არის მედია ორგანიზაცია,** მის მიერ წარდგენილ საპროექტო იდეის განაცხადს უნდა ახლდეს ორგანიზაციის დირექტორის ხელმოწერილი განცხადება;
** **თუ პროექტის წარმდგენი არის ფიზიკური პირი**, მან საპროექტი იდეის განაცხადში უნდა განმაარტოს, როგორ უზრუნლყოფს მომზადებული მედია პროდუქტის ეთერში გასვლას/გამოქვეყნებას. საპროექტო იდეის შერჩევის შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს იმ მედია ორგანიზაციის დირექტორის ხელმოწერილი ფორმა, რომელშიც გამოქვეყნდება მომზადებული მედია პროდუქტი.
***პროექტის განმახორციელებელი ძირითადი **გუნდი** უნდა წარმოადგენდეს ერთ მედია ორგანიზაციას.

საგრაანტო კომისიას შეუძლია განმცხადებელ მხარეს (ორგანიზაციასა თუ ფიზიკურ პირს) მოსთხოვის დამატებითი ინფორმაცია საპროექტო განაცხადის შესახებ. დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად განმცხადებლებს სულ ცოტა 3 სამუშაო დღე მიეცემათ.

მეორე ეტაპზე წარმოდგენილი **სრული საპროექტო განაცხადი** უნდა თანხვედრაში იყოს პირველ ეტაპზე წარდგენილ საპროექტო იდეასთან და ასახავდეს მის ძირითად კომპონენტებს.

საპროექტო იდეის/სრული საპროექტო განაცხადის გაგზავნის წესები და ვადები

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ფიზიკურმა პირებმა საპროექტო იდეის/სრული საპროექტო განაცხადის პაკეტი უნდა წარმოადგინონ თანდართული საგრანტო განაცხადის ფორმების მიხედვით, ქართულ ენაზე, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: csrmediagrants@gmail.com

გთხოვთ, განაცხადის გამოგზავნისას ელექტრონული ფოსტაში წერილის სათაურში მიუთითეთ: **მედია კონკურსის საპროექტო იდეის განაცხადი ან მედია კონკურსის სრული საპროექტო განაცხადი** იმის შესაბამისად, თუ კონკურსის რომელ ეტაპზე იღებთ მონაწილეობას.
განაცხადის გამოგზავნის შემდეგ მიიღებთ საპასუხო წერილს იმის თაობაზე, რომ თქვენი განაცხადი მიღებულია. თუ განაცხადის მიღების თაობაზე საპასუხო შეტყობინებას სამი სამუშაო დღის ვადაში ვერ მიიღებთ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით შემდეგ **მისამართზე:** maka.asambadze@csrdg.ge

საპროექტო იდეის განაცხადების ელ-ფოსტით გამოგზავნის ბოლო ვადაა 2023 წლის 15 ივნისი, 18:00.

საბოლოო გადაწყვეტილება **საპროეექტო იდეის კონკურსის** პირველ ეტაპზე მონაწილეთა გამარჯვების თაობაზე მიღებული იქნება არაუგვიანეს **2023 წლის 14 ივლისისა,** რის შესახებაც პროექტის ხელმძღვანელები წერილობით პასუხებს მიიღებენ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

სრული საპროექტო განაცხადის ელ-ფოსტით გამოგზავნის ბოლო ვადაა 2023 წლის 7 ნოემბერი, 18:00.

საბოლოო გადაწყვეტილება მეორე ეტაპზე **კონკურსში გამარჯვებული პროექტების თაობაზე** მიღებული იქნება არაუგვიანეს **2023 წლის 7 დეკემბრისა,** რის შესახებაც პროექტის ხელმძღვანელები წერილობით პასუხებს მიიღებენ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

*განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ თანდართული ფორმების შესაბამისად. **არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.***

კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს CSRDG მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის დამფინანსებლის მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

კონკურსის მნიშვნელოვანი თარიღები:

ღონისძიება	თარიღი
საპროექტო იდეების კონკურსის გამოცხადება	**11.05.2023**
საპროექტო იდეის წარდგენის ბოლო ვადა	**15.06.2023**
საკონსულტაციო შეხვედრები	**23.05.2023** **06.06.2023**
შერჩეული საპროექტო იდეების გამოვლენა	**14.07.2023**
ტრენინგი პირველ ეტაპზე შერჩეული აპლიკანტებისთვის	**20.09.23- დან 07.10.2023 -მდე პერიოდში** (ზუსტ თარიღს ვაცნობებთ შერჩეულ აპლიკანტებს)
სრული საპროექტო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა	**07.11.2023**
კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენა	**07.12.2023**
გამარჯვებულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმება	**დეკემბერი, .2023**

დაინტერესებულ პირებთან **საკონსულტაციო შეხვედრა** ჩატარდება ონლაინ, Zoom- პლატფორმის გამოყენებით შემდეგ დღეებში: ***23 მაისსა და 6 ივნისს, 2023 წ. - 11:00 საათზე.***
შეხვედრაზე რეგისტრაციის ლინკის მისაღებად დააჭირეთ **აქ:** https://forms.gle/NLhX1nqunCU5X2t26

ორივე საკონსულტაციო შეხვედრის ბმული:
https://us02web.zoom.us/j/87951005050?pwd=Q3NMU2p1RHEzSUowTG5HRVdhWjVIUT09

Meeting ID: 879 5100 5050
Passcode: 554871

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ:

- დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: csrmediagrants@gmail.com
- ტელ: 595 981 000

საკონტაქტო პირი: ლიზი ლეჟავა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი,
იოველ ჯეგაშილის I გასასვლელი #5, თბილისი.